ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 97

ქ. ბათუმი **„ 07 “ „ ნოემბერი “** 2025 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (თავმჯდომარის **მ.შ.**), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **კახა დიასამიძე**

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის **მ.შ. - მუხრან ჯორბენაძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსის **მ.შ. - გურამ კონცელიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რე-სურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნინო კერვალიშვილი**

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის **2025 წლის 20 ოქტომბრის № ბ 14. 14252934** ბრძანების შესაბამისად, არსებულ **1** ვაკანტურ თანამდებობაზე **ღია** კონკურსის **მეორე და მესამე ეტაპის** (**07.11.2025**) - **ზეპირი დავალება / გასაუბრება** შედეგების ცნობად მიღება და დამტკიცება.

2. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით **გამარჯვებულის** გამოვლენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მიმდინარე წლის **07 ნოემბერს** ჩატარებული, კონკურსის **მეორე და მესამე** ეტაპის - **ზეპირი დავალება/გასაუბრების** შედეგების შესახებ, რის საფუძველზეც დგინდება, რომ **1** ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსზე გამოცხადდა მონაწილე **1** კანდიდატი, (**განაცხადი**)., ხოლო **1** კანდიდატი, არ გამოცხადდა.

კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს **2025 წლის 20 ოქტომბრის № ბ 14. 14252934** ბრძანებით გათვალისწინებული **ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის** ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული **ღია** კონკურსის **მეორე და მესამე ეტაპის** - ზეპირი დავალება/გასაუბრება **შედეგები,** თანახმად დანართისა.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) გამარჯვებულ კანდიდატს, რომელმაც **წარმატებულად გადალახა ღია** კონკურსის **მეორე და მესამე ეტაპი** (ზეპირი დავალება/გასაუბრება) და კონკურსის საბოლოო შედეგებით **გამოვლინდა გამარჯვებულად,** შედეგები ეცნობოს მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, წინამდებარე ოქმის ოფიციალურად ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების შემდგომ.

ბ) საჯაროობისა და ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი და ოქმის დანართი განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე **www.batumi.ge**

3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები და შედეგები შეიძლება **გასაჩივრდეს სასამართლოში** დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

---------- კახა დიასამიძე

---------- მუხრან ჯორბენაძე

---------- გურამ კონცელიძე

---------- ნინო კერვალიშვილი